ცნობის ფურცელი

№ 2599 ოთხშაბათი, 1 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2599

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—4 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასი სრულათ არა აქვს გადახდილი, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა, რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ ენკენისთვიდან წლის დამლევამდის ღირს 2 მან. 60 კ.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

მ. ა. ბიბირი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და საზებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშვე- (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაო. 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხაილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
გადავიდა ბარიატინის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ტიპოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—12)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—9—1-ღისა და 5—6-მდის.

კბილის ექიმი
კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—2)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—1)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—1)

პანსიონი
ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—26)

ვ. ი. ჟიჟინაძემ უკვე დაიწყო კბილით ავათმყოფთა მიღება.

ქვრივები ელენე სვიმონის ასული ჩერქეზიშვილისა და ნინო დავითის ასული ხოლოყაშვილისა აცხადებენ, რომ მომავალ ენკენისთვის პირველიდან ამ 1904 წ. აიყვანენ ბავშვებს ქ. სიღნაღში გარედან მოსიარულეებს მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებელში.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ქ. სიღნაღს, სიღნაღის ნოტარიუსს. (3—287—3)

ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსი სტატსკი სოვეტნიკი იპოლიტ კონსტანტინეს ძე ივანოვსკი ამით აცხადებს საყოველთაოდ საცნობლად, რომ მან გააუქმა რწმუნების ქაღალდი, მიცემული ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსაგან ამიერ-კავკასიის რკინის გზათათვის მიწის მიმზომელ ყოფილ აგენტის კონსტანტინე პეტრეს ძე ანდრეევისათვის, დამოწმებული ტფილისის ნოტარიუს მღებროვთან, 1 მაისს 1902 წ. № 4295. (3—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აგვისტო

ტოკიო. სეულიდან ფუზანამდე რკინის გზის გაყვანის საქმე წინ მიდის. ამ ჟამად მატარებლები დადიან ინგტონპოდან (სეულის მახლობლადაა) პონგანპეუ, რომელიც სეულის სამხრეთითაა, ასი მილის მანძილზე.—იუწყებიან, რომ ის 4,000 რუსი, რომელნიც ხამინში არიან, სცდილობენ სეულისაკენ წასვლასა.

ჩიფუ, 29 აგვისტო („რეიტერის სააგ.“). სარწმუნო წყაროებით, შემდეგ იერიშს იაპონელები მიიტანენ პორტ-არტურის ორ სიმაგრის—ერლუნშანისა და ძიგუშანის წინაამდეგ. ის გორაკები, რომელზედაც ეს სიმაგრეებია, იაპონელებს უჭირავთ. იაპონელები კარვებში სცხოვრობენ; სურსათი იმათთვის ღამე მიაქვთ. იაპონელთა თხრილები რუსის თხრილების მახლობლადაა. რუსები სცდილობენ ფერდობების გასწორებას, რადგან იაპონელები ადვილად იმალებიან უსწორ-მასწორო ადგილებში. იერიში მეტად ცხარე და მედგარი იქნება. იაპონელებმა ყველაფერში თადარიგი დაიჭირეს. ამ ადგილას იმათი ორი დივიზიაა ოშიმასა და ტსუშიმას უფროსობით. სულ იაპონელებს პორტ-არტურთან 80,000 კაცი ჰყავთ. რუსები ხმარობენ უბრალო თოფის წამალს, პორტ-არტურში მომზადებულს. ამ წამლის გამო იაპონელები ადვილად ტყობილობენ, სადაა რუსის ბატარეები. აფეთქება ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე უკომლო წამლის დროს. იაპონელებს აღარ უნდათ იერიში მიიტანონ იტშანზე, რომელიც ასე ძვირად დაუჯდათ; იერიშის ნაცვლად ამ პოზიციას ყუმბარებს დაუშენენ ლუიზისა და შუშიანის ბუხტებიდან, რომ რუსებმა იტშანიდან სროლა არ დაუწყონ იაპონიის იმ რაზმს, რომელიც სხვა ადგილას იერიშს მიიტანს. არგენტინელმა პოლკოვნიკმა, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს იაპონელთა მოქმედებას, სთქვა, რომ რუსის სიმაგრეები სამაგალითოდ არის გაკეთებული. თუ იაპონელები აიღებენ ერლუნშანსა და ძიძიუშანს, ხელთ ჩაიგდებენ იმ ადგილს, საიდანაც რკინის გზა ქალაქში შედის. 18 აგვისტოდან პორტ-არტურთან ბრძოლა არ მომხდარა. იაპონელები ყოველ დღე, დილით, ყუმბარებს უშენენ ქალაქს. რუსები პასუხს აძლევენ ნაშუადღევს, როდესაც მზე იმათთვის მოხერხებულად სდგას. უკანასკნელ ხუთის კვირის განმავლობაში იაპონელებმა დაჰკარგეს 20,000 კაცი. ამბების მომტანმა იაპონელმა სთქვა, რომ ამ ცნობების გამოქვეყნება არაფერს ავნებს იაპონელებს, რადგან იაპონელები ყველა სამზადისს რუსების თვალ წინ აკეთებენო.

შანჰაი, 29 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). კრეისერი „ასკოლდი“, სრულიად შეკეთებული, გუშინ ზემო ბასეინში დადგა უიარაღოდ. ამ კრეისერის მეზღვაურთა შესახებ საქმე ჯერ არ არის გადაწყვეტილი. სამი პროექტია ამის შესახებ: 1. გაიგზავნენ მეზღვაურნი ვაჭრობისათვის გაღებულ ნავთსადგურებში; 2. დასახლებულ იქმნენ ჩინეთის ციხეს ძიანიანში მდ. იანცეზე; 3. დარჩნენ გემზევე, ისე კი, რომ იარაღი აეყაროთ. იაპონიის მთავრობამ ეს მესამე წინადადება მიიღო.

ტოკიო, 29 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). სამხედრო სპეციალისტები გულწრფელ გაკვირვებას აცხადებენ იმის გამო, რომ კუროპატკინმა საკვირველის მოხერხებით დაიწია ლიაოიანიდან. რაც უფრო ირკვევა გარემოებანი, რომელთა გამო რუსებს უკან უნდა დაეწიათ, მით უფრო ცხადი ხდება, რომ კუროპატკინის უკან დაწევა მეტად საინტერესო გაკვეთილია ამ ომისა.—ჰფიქრობენ, რომ ნოემბრის დასაწყისში იაპონიის მთავრობა კიდევ გამოსცემს 80 მილიონის იენის შინაგან სესხს. ამ სესხის პირობანი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ, ალბათ, იმგვარივე იქნება, როგორიც იყო პირველის შინაგანის სესხისა.

ჩიფუ, 29 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). „ნოვი კრაი“ სავსეა ამბებით პორტ-არტურთან ბრძოლების შესახებ. 19 აგვისტოს ყუმბარებით დაანგრიეს სოფელი პალიჯუანი. სოფელი ჩალიძე, სავარჯიშო მოედნის პირდაპირ, აგრეთვე დანგრეულია. პოზიცია „რედუტ-სკალისტი“-დან რუსები განუწყვეტლივ ესვრიან ყუმბარებს იაპონელთა ორ სიმაგრესა და პალიჯუანს. 23 აგვისტოს ერთი იაპონელი გამოვიდა სიმაგრიდან და მოიწადინა კედლის აფეთქება, ის თამამად მიდიოდა წინ და ხელში ორი ყუთი ეჭირა. რუსებმა ახლოს მოუშვეს და შემდეგ მოჰკლეს. აღმოჩნდა, რომ ყუთები ლიდიტით იყო სავსე.

პავლოგრადი, 30 აგვისტო. გამოცხადდა სათადარიგო ჯარის მობილიზაცია და ცხენების სამხედრო ბეგარა.

სან-ფრანცისკო, 30 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). ტრანსპორტის „ლენა“-ს აფიცერი ამბობს, გემი, რუსეთის კონსულის მიერ გაგზავნილ ცნობის გამო, მოვიდა სან-ფრანცისკოშიო. იაპონიის გემთა საზოგადოების დირექტორმა დეპეშით გაჰგზავნა იოკოჰამას განკარგულება იმის შესახებ, რომ გემი „ამერიკამარუ“ გაჩერებულ იქნას „ლენა“-ს წასვლამდის. შეერთებულ შტატების წყნარ ოკეანეს ესკადრის უფროსმა ადმირალმა გუდლიხმა აცნობა ვაშინგტონში „ლენა“-ს მოსვლა და დაუყოვნებლივ მიიღო ბრძანება, დარჩეს სან-ფრანცისკოში ესკადრით „ლენა“-ს წასვლამდის. ამბობენ, მთავრობა ვადას დანიშნავს შეკეთებისა და დასრულებისათვისაო.

მუკდენი, 28 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). რუსები უკან იწევენ ტელინისაკენ. იაპონელები ნელა მიდიან წინ, თუმცა ჯარი უკან იწევს, სალდათები მხნედ არიან.

ტოკიო, 30 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). ოიამა იუწყება, რუსის კავალერიის ძლიერი რაზმები გამოჩნდნენ პინტაიძის ახლოს, იანტაის აღმოსავლეთითაო. რუსის კავალერიის ერთი ნაწილი არტილერიით რკინის გზის გაყოლებაზეა მუკდენისა და იანტაის შუა. რუსები იაპონელებთან ახლოს დგანან.

31 აგვისტო

ვაშინგტონი, 30 აგვისტო (რეიტ. სააგ.“). საზღვაო საქმეების სახელმწიფო მდივანმა მორტონმა დეპეშით ბრძანება გაუგზავნა ადმირალ გუდლიხს, გააჩეროს ესკადრა და გამოარკვიოს „ლენა“-ს უფროსის განზრახვა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. 26 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორმა კრონშტადტის დიდ რეიდზე დიდ ოკეანის მეორე ესკადრის გემები გასინჯა. რეიდზე იდგნენ: საესკადრო ჯავშნიანი გემები „კნიაზ სუვოროვი“ (ესკადრის უფროსის კონტრ-ადმირალ როჟდესტვენსკის ბაირაღია გაშლილი), „ბოროდინო“, „იმპერატორ ალექსანდრე III“, კრეისერები პირველ რანგისა „სვეტლანა“, „ავრორა“ და „დმიტრი დონსკოი“; კრეისერი მეორე რანგისა „ალმაზი“ (კონტრ-ადმირალ ენკვისტის ბაირაღია გაშლილი). ჯავშნიანი გემი „ნავარინი“, კრეისერი პირველის რანგისა „ადმირალ ნახიმოვი“, ჯავშნიანი გემები „სისოი ველიკი“ და „ოსლიაბია“ (კონტრ-ადმირალ ფონ-ფელკერზანის ბაირაღია გაშლილი). გემების გასინჯვას შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი ნავით პატარა რეიდში წაბძანდა და სატრანსპორტო გემი „კამჩატკა“ დაათვალიერა. აქედან ხელმწიფე იახტა „ალექსანდრია“-ზე ავიდა და სიგნალით მადლობა გამოუცხადა გასინჯულ გემებს. ყველა ეს გემი შორეულ აღმოსავლეთს იგზავნება. („რ. ვ.“).

ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი ვლადივოსტოკიდან მუკდენს მოვიდა და ეხლა მუკდენიდან ხარბინში გადასახლდა. („რ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: ინგლისურმა და ამერიკულმა გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ იმპერატორ ვილჰელმს რუსეთისა და იაპონიის მორიგება და შუამავლობის გაწევა ეწადოსო; ამ ხმას არავითარი საფუძველი არა აქვსო. („რ. ვ.“.).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ: იაპონელებს განსაკუთრებით თავიანთ ფლოტისა და ზღვაში ბატონობის იმედი აქვთ. როცა გენ. კუროპატკინი ხარბინში საკმაო ჯარს შეჰკრებს და სამხრეთისაკენ გაილაშქრებს, იაპონელები კორეიაში გამაგრდებიან და იქ რუსები უფლოტოდ ვერას დააკლებენ იაპონიის ჯარს. პორტ-არტურის აღების შემდეგ იაპონელებს იმედი აქვთ, კუნძულ სახალინსა, კომანდორის კუნძულებს და ნახევარ კუნძულ კამჩატკას დავიჭერთო. როცა საქმე მორიგებაზე მიდგება, იაპონია მანჯურიას ისევ რუსეთს დაუთმობს, თითონ-კი პორტ-არტურსა, დალნისა, კორეიასა, სახალინსა, კამჩატკასა და კომანდორის კუნძულებს აიღებს. სახალინი, კამჩატკა და კომანდორის კუნძულები იაპონიას თევზის საჭერად სჭირიაო. („ნ. ვ.“).

მუკდენთან. 23 აგვისტოს გენ. კუროპატკინის არმია „დიდ განსაცდელიდან გამოვიდა“ და ჩრდილოეთისაკენ, მუკდენისაკენ გაემართა. იაპონელებიც ფეხდაფეხ გამოჰყვნენ. სადაა ამ ჟამად რუსისა და იაპონიის ჯარი, დეპეშებიდანა და გაზეთების ცნობებიდან კარგად არა სჩანს. ამბობენ, რუსის მოწინავე ჯარმა მუკდენი გაიარა და ტელინისაკენ გაემართაო, მაგრამ ბერლინში სამხედრო წრეები შიშობენ, ვაი თუ რუსის უკანა ჯარს გენ. ოკუსა და ნოძუს არმიები მოეწივნენ და გზა მოუჭრანო. რუსის ჯარი დიდ მანძილზეა გაჭიმული და მეტად ცუდი გზები აქვს გასავლელი, წვიმაც ძლიერ უშლის ხელს და კიდევ სულ მცირედ რამდენსამე დღეს ვერ მიაღწევს მუკდენსაო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი 24 აგვისტოს გამოგზავნილ დეპეშაში ირწმუნება: რუსებმა მუკდენიდან დიდი ჯარი გაგზავნეს სამხრეთისაკენ იაპონელების იერიშის შესაყენებლადაო. („რ. ვ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი სწერს: იანტაიდან რუსის ჯარს მხოლოდ დიდ შარა გზითა და რკინის გზის პირ-პირ შეეძლო მუკდენისაკენ წასვლა. დანარჩენი გზები სულ წვიმებისაგან იყო დახრამული და გაოხრებული.

ყობინებენ ინგლისურ გა- კუროპატკინის არმია ტელინში . ტელინში რუსები დიდძალ ჩინელ მუშას ამუშავებენ და სიმაგრეებს აგებენო. („ბ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: ამბობენ, რუსის ჯარი მუკდენიდან 60 ვერსის მანძილზე დადგება ჩრდილოეთით, ტელინთანაო. იქ რუსები ზამთარს აქეთ სანგრებსა ჰმართვენ და სიმაგრებს აგებენ. ეგ-კია, ყველა აქაური სიმაგრე იმითაა შესანიშნავი, რომ როცა ამოარჩევენ, ძლიერ სიმაგრედ მიაჩნია ყველას, მაგრამ გაამაგრებენ თუ არა, მაშინვე უვარგის, სუსტ სიმაგრედ გადაიქცევა ხოლმე. ამიტომ, ვინ იცის, იქნება რუსის ჯარმა ხარბინამდეც დაიხიოს, მით უმეტეს, რომ მე-5 კორპუსის პირველი ნაწილაკ ამ ქალაქში მოვიდა. („რ. ვ.“).

დიდი ბრძოლა ლიაოიანთან. ამ დიდად მნიშვნელოვან ბრძოლის თაობაზე მეტად მცირე ცნობა იბეჭდება გაზეთებში. ზოგი ამბობს, იაპონელებმა ლიაოიანთან უმთავრესად გენ. ოკუსა და გენ. ნოძუს არმიების წყალობით გაიმარჯვესო; ზოგი არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, უმთავრესი მნიშვნელობა გენ. კუროკის მდ. ტაიძიხეში გასვლას და რუსის ჯარის მარცხენა ფრთაზე დაცემასა ჰქონდაო. „რუს“-ის სამხედრო მიმომხილველიც ამ თვალით უყურებს საქმეს. მიმომხილველი სწერს: „17 და 18 აგვისტოს გენ. ოკუსა და გენ ნოძუს მედგარი იერიშები მოჰქონდათ რუსის პოზიციებზე ლიაოიანის სამხრეთით, მაგრამ რუსის ჯარმა ყველა ეს იერიში მოიგერია. 18 აგვისტოს გენ. კუროკი ტაიძიხეს გაღმა გავიდა, რუსის ჯარს უყელა და მას აქეთ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. გენ. კუროკიმ მეტად სახიფათო საქმე გაბედა: იაპონიის დანარჩენ არმიებს მოშორდა და ადიდებულ მდინარეში გავიდა, არც გზის მოჭრისა შეეშინდა, არც დამარცხებისა. გენ. კუროპატკინმა ლიაოიანში მხოლოდ გენ. ზარუბაევის კორპუსი დასტოვა, დანარჩენ ჯარით თითონ გაღმა გავიდა და გენ. კუროკის არმიისაკენ გაქანდა. მაგრამ სანამ გენ. კუროპატკინის ჯარი მივიდოდა, გენ. კუროკიმ თავისი საქმე კიდევაც მოიმარჯვა: ერთი რაზმი იანტაის მაღაროებისაკენ გაგზავნა, თითონ-კი მეორე რაზმით სიკვანტუნისაკენ გაემართა და იქ გენ. ბილდერლინგის კორპუსზე დღისით იერიში მიიტანა. ეს პირველი იერიში რუსებმა მოიგერიეს, მაგრამ გენ. კუროკიმ ღამით მეორე მედგარი იერიში მიიტანა, გენ. ბილდერლინგის კორპუსს პოზიციები წაართვა და უკან დაახევინა. არა გვგონია, გენ. კუროკის ამ დროს დიდი ჯარი ჰყოლოდეს ტაიძიხეს გაღმა, ამიტომ მეტად გვიკვირს, როგორ მოახერხა სიკვანტუნის პოზიციების დაჭერა. მერე გენ. კუროპატკინი დანარჩენის კორპუსებით დაეცა გენ. კუროკის არმიას და სიკვანტუნის პოზიცია ისევ უკან წაართო. კუროკი დიდ განსაცდელში ჩავარდა.... უნდა სიმართლე ვსთქვათ, რომ იაპონელი სარდალი მალე მიჰხვდა, რა საფრთხე მოელოდა, განსაცდელიც მოიშორა თავიდან და გამარჯვებულიც გამოვიდა. კუროკი მიჰხვდა, რომ გათენებამდე მოცდა აღარ შეიძლებოდა, გენ. კუროპატკინი ახალ ჯარს მოიშველიებდა, ამიტომ თავისი დაქანცული ჯარის-კაცები გაამხნევა, გაფრთოვანა, იმავ ღამეს მოულოდნელად მედგარი იერიში მიიტანა რუსის ჯარზე, სიკვანტუნის პოზიციები ისევ ხელში ჩაიგდო, რუსის ჯარს დიდი ზარალი მიაყენა და რამდენიმე ვერსტი უკან დაახევინა... ამასობაში კუროკის წყალ გაღმიდან მაშველი ჯარიც მოუვიდა...

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: იაპონიის ელჩს პარიზში უთქვამს საუბრის დროს, იაპონელებს ლიაოიანთან 160 ათასი კაცი ჰყავდათ რუსებს 200 ათასიო; ასე რომ იაპონელებს 40 ათასის კაცით ნაკლები ჰყავდათ, ვიდრე გენ. კუროპატკინსაო. იქნება მალე მუკდენთანაც მოხდეს ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა როდი ექნება. ნამდვილი დიდი ბრძოლა მომავალ გაზაფხულზე ხარბინთან მოხდება და ომის საქმეც იქ გადასწყდებაო. („რ.“).

ბერლინიდან ატყობინებენ „რუს“-სა: ლიაოიანთან ბრძოლის დროს გენ. კუროპატკინს ორი საჯდომი ცხენი მოუკლესო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ის, კორესპონდენტი იუწყება: 21 აგვისტოს როცა რუსები ლიაოიანსა სცლიდნენ, რკინის გზის ხიდთან მეტად გამწვავებული ბრძოლა მოხდაო.

„სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოს“ ატყობინებენ ბერლინიდან: რუსებს ლიაოიანში ქარავანის ნაწილი (პოვოზკები, ფურგუნები) დარჩათო. („მ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: ამბობენ, ვითომ ჩინელმა გუბერნატორმა ლიაოიანში ყველა უბანში პროკლამაცია გააკრა და ხალხს ურჩია, იაპონელებს დინჯად და მეგობრულად დაუხვდითო. („რ. ვ.“).

პორტ-არტური. ბელგიურ გაზ. „ინდეპ. ბელჟ“-ს ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ: 15 აგვისტოს ღამით იაპონელები უცებ დაეცნენ რუსებს, დიდი ზარალი მიაყენეს და პალუნჩანის პოზიციები წაართვეს. რუსები ძლიერ იყვნენ მოქანცულნი განუწყვეტელ ბრძოლისა და მუდმივ უძილობისაგან.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ტიანძინიდან: იაპონელები პორტ-არტურთან მიწის ქვეშ ნაღმებს აწყობენ რუსის ფორტების ასაფეთქებლადაო. („ბ. ვ.“).

რუსული გაზ. „ნოვი კრაი“ (პორტ-არტურში გამოდის) 14 აგვისტოს იუწყებოდა: რუსის ჯავშნიანი გემი „რეტვიზანი“ ნავთსადგურიდან გავიდა და იაპონელებს ვანდიანსიანთან ზარბაზანი დაუშინაო. იაპონელების კრეისერებმა „ნისინ“-მა და „კასუგა“-მაც ზარბაზანი დაუშინეს ორ პატარა ფორტს ოქროს გორასთანაო. ეს ფორტები სოფ. ვანდიანსიანს ახლოა აშენებული და ფორტ № მე.2 მაღლიდან დაჰყურებენო. 12 აგვისტოს იაპონელებმა 8 დიდი ზარბაზანი დადგეს ამ სოფლის პირდაპირ, ამას გარდა ერთი დიდი ფორტიც ააშენეს; „რეტვიზან“-მა ერთი ყუმბარა მოახვედრა იაპონელ არტილერისტებს, როცა ისინი ამ ახალ ფორტისაკენ გაემართნენო. გაზეთი მეტს აღარას სწერს ამ საქმეზე, მაგრამ წერილიდან სჩანს, რომ იაპონელებს ოქროს გორაზე ერთი ფორტი დაუჭერიათ, ამ გორის გარშემო თხრილები გაუთხრიათ და შიგ ჩამდგარან, რომ რუსის ყუმბარა ვერ მოჰხვდეთო. („ნ. ვ.“).

ტყვე რუსები იაპონიაში. იაპონური ჟურნალ „ოსტაზიენ“-ი (გერმანულ ენაზე გამოდის ბერლინში) სწერს: 6 ივლისამდე იაპონიაში სულ 1,033 ტყვე რუსი იყო მიყვანილი. აგვისტომდე ტყვე რუსების რიცხვი, ალბად, 2 ათასამდე ავიდოდა, რადგან გაიპინგთანა, დაშიჩაოსთანა, ხაიჩენთან, სიმუჩენთან, იანზელინთან და უშულინთან იაპონელებმა კიდევ ბევრი რუსი წაიყვანეს ტყვედა. მერე მარტო გემ „რიურიკ“-ზე 600 რუსის მეზღვაური დაატყვევეს. ჟურნალმა სწორედ არ იცის, რამდენი ტყვე რუსია ამ ჟამად იაპონიაში, მაგრამ იმათი რიცხვი მაინც საკმაო უნდა იყვეს. ბოლოს უფრო და უფრო ბევრი ტყვე მიჰყავთ, ამიტომ მასუიამას ნაცვლად, 300 ავადმყოფი რუსი კაგოვას პროვინციაში ქალ. შიოიაში გაგზავნეს. ვაფანგოუსთან 2 ივნისს იაპონელებმა 400 რუსი დაატყვევეს. ყველა ეს ტყვე, მძიმედ დაჭრილების გარდა, 27 ივნისს ქალ. მასუიამაში გაგზავნეს. მძიმედ დაჭრილი 61 კაცი ყოფილიყო, ასე რომ მასუიამაში ამ 400 კაციდან სულ 339 კაცი მიიყვანეს. ამათგან 7 აფიცერია—4 სუმბუქად დაჭრილი, 3 კარგა მყოფი და 332 უნტერ-აფიცერი და სალდათი: 90 დაჭრილია და 242 კარგა მყოფი. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ **ტფილისის კომენდანტის** თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნულ იქნა პოლკოვნიკი ვ. ლ. ტემნიკოვი.

◆ გუშინ, 31 აგვისტოს, ნავთლუღში დაასაფლავეს ახლად გარდაცვალებული ტფილისის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი რეიტერი. დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო.

◆ დღეს, 1 სექტემბრიდან, მუშაობა ტფილისის **ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებებში** ნაშუადღევის სამ საათამდე იქნება.

◆ **ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში** დასრულდა მისაღები ეგზამენები. სულ ეგზამენს იჭერდა 136 კაცი და [illegible]დან მიიღეს ნახევარზე ნაკლები—60 კ[illegible].

◆ პირველი მორიგი კრება **კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა** მოხდება პარასკევს, 3 სექტემბერს.

◆ **სახელმწიფო კონტროლერს** ბ-ნ ლოპკოს დღეს, 1 სექტემბერს, მოელიან პეტერბურგიდან. ბ-ნი ლოპკო რევიზიას უზამს ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკანტროლო დაწესებულებას.

◆ საქართველოს **საეპარქიო სანთლის ქარხნის** კანტორაში აღმოაჩინეს ქურდობა. ქურდს სხვა-და-სხვა დროს მოუპარავს 2800 მან. ეჭვი მიიტანეს კანტორის ერთ მოსამსახურეზე. გამოძიება უკვე დაიწყო.

◆ ტფილისის სახაზინო პალატასა, სასამართლო დაწესებულებასა, საგუბერნიო სამმართველოსა, მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიასა, ხაზინასა და სახელმწიფო ბანკში **მეცადინეობა** დღეს, 1 სექტემბრიდან, დილის 9 საათიდან დაიწყება.

◆ **მუხური** (სამეგრელო). იქ, სადაც ქვიტკირის ხიდია, რამდენმამე გლეხმა, გვარად თოლორდავებმა, ჩამოიტანეს თავ. დადიანების სადაო მამულიდან ხე-ტყე. როდესაც გატანას აპირებდნენ, დახვდნენ თავ. დადიანები და ბაჟი სთხოვეს. რადგან გლეხები ამ მამულს თავის საკუთრებად სთვლიან, გაძალიანდნენ და ბაჟზე უარი სთქვეს. მოუვიდათ ჩხუბი, რომლის შემდეგაც მოკლული აღმოჩნდა ერთი გლეხი, სასიკვდილოთ დაჭრილი—ორი, მსუბუქათ—ორი.

◆ ხეთის საზოგადოების მამასახლისი გვთხოვს დავბეჭდოთ: „თქვენს გაზეთში 25 აგვისტოს დაბეჭდილი იყო, ვითომ ერთს ხეთელს გლეხს გვიკვინიას (რომელს არა სწერია) თავი მოეკლას დანით. [illegible], რომ ეს ამბავი მოგონილია, რადგან ამგვარი შემთხვევა ჩვენს სოფელში არ მომხდარა“.

◆ კვირას, 12 სექტემბრისათვის, დანიშნულია კრება ტფილისის ხელოსანთა უსტაბაშებისა და დეპუტატებისა რამდენიმე საქმის განსახილველად.

◆ ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში გუშინ გამოაცხადეს ახლად მიღებულთა გვარები. მიღებულია 49 ქალი, აქედან 8 ქართველია. სწავლა დღეს იწყება.

ფელეტონი

გერმანიის ახალ ისტორიიდან*)

(საინტერესო იუბილე)

შემდეგ ლასსალი ცხოვრობდა დიუსელდორფში განმარტოებულად, მუშაობდა, სწერდა, მოგზაურობდა, არ აკლდებოდა სხვა-და სხვა მხიარულობას. მაგრამ ცოცხალი და მოუსვენარი ბუნება ბერლინისკენ მიიზიდავდა ლასსალს, სადაც მეტი მასალა იყო მისი მოღვაწეობისათვის. ბერლინში მისვლა აკრძალული ჰქონდა მთავრობისაგან. ალ. ჰუმბოლდტმა მოუპოვა ბერლინში დაბრუნების ნება 1857 წ. და ლასსალი დაუყონებლივ გაეშურა სატახტო ქალაქისკენ. აქაც განაგრძობდა სამეცნიერო მუშაობას. მის სახლში იკრიბებოდნენ საუკეთესო წარმომადგენელნი ადგილობრივი ინტელიგენციისა, შესანიშნავი მეცნიერები, მწერლები და მხატვრები. ყველას ხიბლავდა ლასსალის ნიჭი და საუბარი. მაგრამ ლასსალი ვერ დააკმაყოფილა ვერც ბერლინის ცხოვრებამ. ვერ ივიწყებდა იმას, რაც მოხდა 1848 წ. და რაც მოიქმედა მთავრობამ იმის შემდეგ. ყოველივე თეორეტიული მსჯელობა და განყენებული შრომა დანაშაულობად მიაჩნდა მაშინ, როდესაც „ამდენი სისხლი იყო დანთხეული და ამდენი საქმე დადგებდა შურისძიებას“. მას სწყუროდა პრაქტიკული მოღვაწეობა, საქმე; ბრძოლისთვის დაბადებულს ადამიანს იზიდავდა ცხოვრების ზღვა. ყველაფერი შებორკილი და შეხუთული იყო გარშემო. ლასსალი ვერ ახერხებდა მოქმედებას და რაკი ეს ვერ მოახერხა, მოინდომა, რომ სცენაზე მაინც მაღლო მონაწილეობა მოქმედებაში და ამით დაეკმაყოფილებინა ცოტათი მაინც თავისი წყურვილი: ლასსალმა დასწერა დრამა „ფრანც ფონ-ზიკინგენი“, რომ ამით მიემართნა ხალხისათვის, ეჩვენო მისთვის თავისი საყვარელი აზრები, რომ სცენაზე მაინც დაენახა ყველას სახე ბრძოლისა, გაღვიძებულიყო და გამხნევებულს ხელი აეღო საბრძოლველად. პიესა გამსჭვალულია რევოლიუციონური სულით. პიესაში აწერილია აჯანყება წვრილი აზნაურებისა და რაინდებისა მსხვილ ფეოდალების და თავადების წინააღმდეგ გერმანიის გასაერთიანებლად და თავისუფალ ეკკლესიის დასამყარებლად. ხოლო იმის მაგიერ, რომ ფონ-ზიკინგენს თავის დროშა ქვეშ შეეერთებინა უბრალო ხალხი და ყველა უკმაყოფილო ელემენტი, მან მიმართა რაინდებს, რომლების დღენი უკვე დათვლილი იყო. ამიტომ შეუძლებელი შეიქნა ფონ-ზიკინგენის გამარჯვება. საყურადღებოა პიესაში ერთი ადგილი, რომელიც ახასიათებს ლასსალის შეხედულებას ბრძოლის ტაქტიკის შესახებ, და სადაც ავტორი ულრიხ ფონ-გუტტენის ენით ლაპარაკობს შემდეგს: „მეგობარო! ცუდად გცოდნიათ ისტორია. მართალი ხართ, როდესაც ამბობთ: გონებაა ისტორიის შინაარსიო, მხოლოდ მისი ფორმა მუდამ იქნება ძალა!.. ტყვილად ხართ ასეთის ცუდის აზრის ხმლის შესახებ! ხმალი, ამოღებული თავისუფლების დასაცველად, სწორედ ის განხორციელებული სიტყვაა, ის დედამიწა'ზე შობილი ღმერთი, რომლის შესახებ თქვენ ქადაგებთ. ხმლით გავრცელდა ქრისტიანობა, ხმლით მონათლა გერმანია კარლოსმა, რომელსაც დღესაც დიდებულს ვუწოდებთ. ხმლით დაემხო კერპთაყვანისმცემლობა, ხმლით განთავისუფლდა მაცხოვრის საფლავი! ხმლით გააძევეს რომიდან ტარქვინიოსი, ხმლით განდევნეს ელადიდან (საბერძნეთიდან) ქსერქსი, დაიცვეს მეცნიერება და ხელოვნება! ხმლით იბრძოდნენ დავითი, სამსონი, გედეონი!“ ასეთი გატაცებული ქება ხმლისა, რასაკვირველია, გადამეტებულია, მაგრამ უნდა წარმოვიდგინოთ ის დრო, როდესაც მოქმედობდა ფონ-ზიკინგენი, და განსაკუთრებით თვითონ ლასსალის სულიერი მდგომარეობა, რომელშიაც ჩააგდო იგი მაშინდელმა სასტიკმა რეაქციამ და გერმანიის საზოგადოების უსიცოცხლობამ და უძრაობამ. სხვა ელემენტს ჯერ კიდევ არ ამოეღო ხმა და ლიბერალები კი მარტო სიტყვებით და თხოვნით ფიქრობდნენ მოეპოვებინათ მთავრობისაგან უფლებანი...

ლასსალის დრამის გამოქვეყნების დროს მოახლოვებული იყო იტალიის ომები ნაპოლეონ მესამის მეთაურობით ავსტრიის წინააღმდეგ. აშკარა იყო, რომ ნაპოლეონი საკუთარ ინტერესებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ბევრი თანაუგრძნობდა მას გერმანიაში, რადგან მისი ომების შედეგი იტალიის განთავისუფლება იქნებოდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ქადაგებდნენ: ნაპოლეონი თუ ავსტრიას დაამარცხებს, მთელს გერმანიასაც დაიპყრობსო. 1859 წ. ლასსალმა გამოსცა წიგნაკი „იტალიის ომი და პრუსიის დანიშნულება.“ თავის წიგნაკში აღიარებს გერმანიის ხალხის გაერთიანების აუცილებლობას. მთელი მისი მსჯელობა დამყარებულია ერთი თავისუფლების პრინციპზე; ლასსალის აზრით, ეროვნულის პრინციპის უმისოდ „დემოკრატიულს პრინციპს არა აქვს ნიადაგი... ეროვნული პრინციპის საფუძველი კი ხალხის სულიერი არსებაა, რომელსაც სრული უფლება აქვს საკუთარის ისტორიულ განვითარებისა და თვითგანსაზღვრისა.“ ამ პრინციპის გამო ლასსალი სიხარულით ეგებება იტალიელთა განთავისუფლებას, პრუსია არ უნდა ჩაერიოს ნაპოლეონის ომებში; პირიქით, გერმანიის გაერთების ინტერესები მოითხოვენ, რომ ავსტრია დამარცხდეს, მაშინ პრუსიას შეუძლია იკისროს ჰეგემონია გერმანელების შესაერთებლად.

აქ ლასსალი თითქოს ეწინააღმდეგება თავის რწმენას, რომ პრუსიის მთავრობაზე ამყარებს თავის იმედებს. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა მოსაზრებით და ანგარიშით ხელმძღვანელობდა. ლასსალს გაგებული ჰქონდა, რომ პრუსიის მთავრობას უნდოდა მოხმარებოდა ავსტრიას. ამიტომ იმას ცდილობდა, რომ როგორმე სახელი გაეტეხა მთავრობისათვის საზოგადოებაში. თორემ ისე, მისი მისწრაფება იყო უდინასტიებოდ გაერთიანებული გერმანია. მას უნდოდა, შექნა შეერთებული და განუყოფელი გერმანიის რესპუბლიკა, რომლის ნაწილები იქნებოდნენ დამხობილ ავსტრიის გერმანელთა მიერ დასახლებული მიწები.

1861 წ. ლასსალმა იმოგზაურა იტალიაში და პირადად ნახა გარიბალდი, რომელსაც ურჩია, დაეწყო ომი ავსტრიის წინააღმდეგ. საქმე, რომელიც ასე სწყუროდა გმირს, მაინც არსად იყო მისთვის. ამ დროს ლასსალმა გაიცნო რუსი ქალი სოლნცევისა. ლასსალს გატაცებით შეუყვარდა იგი; იმან კიდევ უფრო აუნთო ცეცხლი გულში, რომ ქალმა მაინც და მაინც მხურვალედ არ მიიღო მის მიერ სიყვარულის გამოცხადება. სოლნცევის ქალმა გადაწყვეტილად არაფერი უთხრა თავში და ლასსალმა, რომ უკეთ გაეცნო მისთვის თავისი თავი, მისწერა წერილი, 24 გვერდზე დაწერილი „აღსარება“, რომელიც როგორც დღიური, მშვენიერად ახასიათებს მის ბუნებას. „ყველაზე უწინარეს, სწერს ლასსალი სოლნცევის ქალს, უნდა მოიფიქროთ იმის შესახებ, რომ მე მთელი ჩემი არსება შევსწირე ჩემს საქმეს, ყველა მის უკიდურეს შედეგს. ეს საქმე გამარჯვებს, მხოლოდ ჯერ კიდევ მრავალს განსაცდელში ჩააგდებს იგი თავის

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2594.

◆ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში წელს მოსამზადებელ კლასში მიიღეს სულ 57 ყმაწვილი, მათ შორის 13 ქართველია, ხოლო პირველ კლასში—84, აქედან 28 ქართველი. დანარჩენ კლასებში არავინ არ მიუღიათ. დღესისთვის დანიშნულია პარაკლისი სწავლის წინ.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებელში წელს ახლად მიიღეს სხვა-და-სხვა კლასში 31 ყმაწვილი, აქედან 4 ქართველია. სწავლა დღეს იწყება.

[illegible] აგრონომმა კაპიტონ ბელოხმა შეატყობინა [illegible] ტფილისის ქალაქის გამგეობას, ტფილისში სამეურნეო-სავაჭრო სატეხნიკო ბიუროს დაარსება მსურს და მიშუამდგომლეთ საბჭომ ნება დამრთოსო.

◆ 30 აგვისტოს, ლაზარევის ქუჩაზე, სოლომონ ხოდასაროვის დუქანში, ჩხუბის დროს ტფილისის მოქალაქემ ივანე ალიხანოვმა სასიკვდილოდ დასჭრა ტფილისის მოქალაქე ერვანდ გრიქუროვი, რომელიც მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ, მაგრამ გზაზედვე გარდაცვლილა. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ **ტირძნისი.** 24 აგვისტოს, ღამის ორს საათზე, სოფელ ტირძნიში, გორის მაზრაში, ნიკოლოზ სულხანიშვილის კალოზე ძნას ცეცხლი წაეკიდა. ძნა ხუთ დიდ ფეხად იყო დადგმული. ცეცხლის გასაქრობად თითქმის მთელი სოფელი დაეხვია, მაგრამ ვერას გახდა. დიდი ქარი ცეცხლის გაძლიერებას ძალიან ხელს უწყობდა. ძნას რამდენსამე ადგილას ჰქონდა მიცემული ცეცხლი, საშინელი ალი და ნაპერწკლები ასდიოდა მოკიდებულ ძნას და მთელ სოფელს აშუქებდა. ზარალი ხუთას თუმანს აღემატება.

◆ **დიღომი.** 29 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, ექვსი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა მუხრანბატონის მამულში მებაღეს გარანოვს და იმის ამხანაგს. გარანოვი დაუჭრიათ ხელში და ძალიან უცემიათ კეტით თავსა და ტანზე. წაუღიათ ფულად 100 მან. და ერთი ვერცხლის ქამარი. პოლიციას 30 აგვისტოს შეუპყრია ვასილ ხოსიტაშვილი. დანარჩენების დასაჭერად ზომებია მიღებული.

◆ სოფ. დოშაკეში მცხოვრებ ღვიტია ახალაიას ქვრივს ამ დღეებში თავს დასცემია 3 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი და ფული მოუთხოვია. ავაზაკებს 70 მანეთი წაურთმევიათ და სასიკვდილოდაც დაუჭრიათ.

რუსეთის ქრონიკა

◆ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობებით, რუსეთში 1902 წლის დამდეგს იყო საქარხნო ინსპექციის ზედამხედველობის ქვეშ სულ 17,819 ქარხანა და სხვა-და-სხვა სამრეწველო დაწესებულება, 1 3/4 მილიონ მუშებით. ქარხნების მთელი რიცხვის 2/3 პატარა ქარხნებია, სადაც 50 მუშაზე მეტი არ ითვლება. შენიშნულია, რომ მუშა კაცების რიცხვი ქარხნებში თანდათან კლებულობს და მატულობს მუშა ქალთა რიცხვი. 1901 წელს მექარხნეებს 1,169 საჩივარი გამოუცხადებიათ საქარხნო ინსპექტორებთან მუშების წინააღმდეგ და ამ საჩივართა 1/8 უსაფუძვლო გამოდგა. 57,791 მუშას 13,289 საჩივარი გამოუცხადებია მექარხნეთა წინააღმდეგ; ამ საჩივართა 1/9 უსაფუძვლო აღმოჩნდა. მუშები უმრავლესად სჩიოდნენ უწესოდ ქირის დაკლებას, ქირის მიუცემლობასა და დაგვიანებას, ბრიყვულ ქცევასა. ბრიყვული ქცევის შესახებ საჩივრები თითქმის ყველა საფუძვლიანი გამოდგა. საქარხნო ინსპექციას აღუნიშნავს მექარხნეთა მიერ ჩადენილი 32,638 უკანონო საქციელი და მხოლოდ 1,714 ოქმი შეუყენებია.

◆ სამხედრო სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ გაეგზავნათ რუსეთიდან ბრძოლის ველზე იაპონურ ენის მცოდნე მთარგმნელები. ცნობები შეკრიბეს და ვერც მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში და ვერც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე იაპონურ ენის მცოდნენი ვერ აღმოუჩენიათ.

◆ ქ. ირკუტსკის საბჭოს განუხილავს სამხედრო უწყების წინადადება იმის შესახებ, რომ საქალაქო სკოლების შენობანი გადაეცეს მას ჯარის დასაყენებლად, და უარ-უყვია ეს წინადადება.

◆ 28 აგვისტოს შეუსრულდა 76 წელიწადი რუსეთის სახელ-განთქმულ მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ვაჟთა გიმნაზიის რეფორმის შესახებ პროექტი ამ შემოდგომაზე შეტანილ იქნება სახელმწიფო საბჭოში. პროექტით სამი ტიპის გიმნაზიები უნდა დაარსდეს რუსეთში: გიმნაზიები, სადაც ძველ ენებს არ ასწავლიან, გიმნაზიები ორივე ძველი ენითა და გიმნაზიები მხოლოდ ლათინურის ენით.

◆ სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა კრებაზე, რომელიც ამას წინად დასრულდა პეტერბურგში, არ განუხილავთ საზოგადო საკითხი უნივერსიტეტების რეფორმის შესახებ, რადგან ეს საკითხი მეტად რთულია. მოკლე ხანში განხილულ იქნება საკითხი კერძო სასწავლებლების შესახებ და იმის შესახებ, თუ რა და რა ცვლილება უნდა მოხდეს ქალთა საშუალო სასწავლებლებში. მზრუნველთა კრებაზე, სხვათა შორის, დაადგინეს, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად ყოველ სამოსწავლო ოლქში დააარსონ თავშესაფარი მასწავლებელ მამაკაცთა და ქალთათვის, რომელთაც საპედაგოგიო ასპარეზზე შრომის უნარი დაჰკარგეს.

◆ ვილნოს გუბერნიის ქ. მოლოდეჩნიდან სწერენ გაზ. „ზაპად. სლოვო“-ს იმ უწესოებათა შესახებ, რომელთაც სჩადიან ადგილობრივ სემინარიაში გამართულ მასწავლებელთა კურსების გამგენი. უკანასკნელნი მეურნეობასა და გალობას ასწავლიან მასწავლებელთ და როგორც ბავშვებს, ისე ეკიდებიან თურმე. სახლში ამწყვდევენ, ფოსტაშიაც არ უშვებენ, ასე რომ მოწაფეები ღობეებზე ადიან და ჩუმად იპარებიან ამ „საპატიმრო-სასწავლებლიდან“. გამგენი ამუშავებენ თავის მოწაფეთ შინაურ სამუშაოს ბაღში და მეტად ბრიყვულად ექცევიან.

◆ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიამ მოსთხოვა კერძო საბანკო კანტორებს მათი მოქმედების დაწვრილებითი ანგარიში. აქამდის ანგარიშს აძლევდნენ მხოლოდ ის ბანკები, რომლებიც დამტკიცებულ წესდებათა თანახმად მოქმედებდნენ. ეხლა-კი კერძო საბანკო კანტორებიც დაუმორჩილეს საკრედიტო კანცელარიის ზედამხედველობას.

წერილები

დაბა ანაკლია (სამეგრელო). აქაურ მცხოვრებთა ქონებას შეადგენს სიმინდი, რასაც აქაური ნაყოფიერი მიწა ბლომად იძლევა. შავი ზღვით ბევრი სიმინდი გააქვთ ამ დაბიდან რუსეთსა და საზღვარგარედ. ვაჭრობასაც ძლიერ ეტანებიან ამ დაბის მკვიდრნი, უმეტეს სარგებლობას იგი ხედავს თხილის ყიდვა-გაყიდვაში. ფუთ თხილს აქ იყიდის 3 მ.—3 მ. 50 კ. და ჰყიდის 4 მ. 50 და 5 მ. ადგილობრივი მდებარეობა ძლიერ ხელს უწყობს მცხოვრებთ ასეთ საქმეში და ამით აღებ-მიცემობა, ძლიერ ვითარდება. აქ არის ორი სახერხი ქარხანა, სადაც გლეხები მუშაობენ და დღეში თითო მანეთს იღებენ. იშვიათი მოვლენა იქნება, რომ აქაურ გლეხს სიმინდი დააკლდეს. წელს კი საყოველთაო ჭირმა არ დასტოვა უყურადღებოდ ეს დაბაც: სიმინდი აღარ მოიძებნება. ზაფხულობით ანაკლიაში ბევრნი მოდიან საბანაოდ. წელს მუდმივმა წვიმებმა და ქარიშხალმა ძლიერ შეუშალა ხელი სტუმრებს: იძულებულნი შეიქნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. 14 აგვისტოს აქ არა ჩვეულებრივი მოვლენა მოხდა—მიწა იძრა. მიწის ძვრა ამ დღეს რამდენჯერმე განმეორდა. მეორე დღეს ცვლილება არა მომხდარა; 16-ს-კი ისევ იძრა მიწა და დიდს ფიქრსა და შიშში ჩააყენა ადგილობრივი მცხოვრებნი. ბევრმა მიატოვა სახლ-კარი და თავშესაფარად გაემართა მეორე სოფელს. მობანავეებს ხომ სულ აეშალათ ნერვები; ახლა არამც თუ მოსვლას აღარ ბედავენ, ვინც მოსულიყო, უკან მიეშურება. მიწა იძრა მხოლოდ აქ, ანაკლიაში, რომელიც ზღვის ნაპირზეა, სხვა სოფლებიდან არაფერი ისმის. „უეჭველად ღვთის რისხვა ტრიალებს ჩვენს თავზეო“, ამბობენ ისინი.

ან. დგებუაძე

სოფ. გუგუნაყათი (იმერეთი). ამისთანა მუდმივი გვალვა, როგორც წელს იყო, ჯერ აქაურ მოხუცებულთ არ ახსოვთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ გვალვის მიზეზით ციებ-ცხელებამაც იმატა. სიმინდს ხომ თითქმის ბოლო მოუღო. ჯერ ისევ შარშანდელ მოუსავლობისაგან წელ-გაწყვეტილია აქაური ხალხი და ეხლა რა მოუვა, ალაჰმა უწყის. ამას დაუმატეთ ის, რომ ამ სოფლის მცხოვრებთ ორას ქცევამდე სახნავ-სათესი მიწა გაჭიდებულმა ცხენის წყალმა გაუთელა და დაუტოვა მინგრეულ-მონგრეული. ეხლა, ამ ჟამად სიმინდი თითქმის ყველას აკლია, ფასიც აწეულია: სადაცაა 1 მ. 20 კაპ. ასცილდება და რომ იყიდოს, მოტანა არ უნდა! სამტრედიასა და აბაშამდის ურმის გზა შეკრულია, რადგან საქონლის ჭირია გარშემო სოფლებში. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ხალხისთვის ნუგეშიც კარგია, მაგრამ, საუბედუროდ, ისიც არსაიდან, არავისგან. მომეტებული ნაწილი ამ სოფლის მცხოვრებლებისა ეკუთვნის სამიქაოს საზოგადოებას ქუთ. მაზ , დანარჩენი-კი მარნისას (სენაკის მაზრაა). სამიქაოს საზოგადოების მამასახლისის ამორჩევაზედ დიდი აურ-ზაური და მიწევ-მოწევა იყო წლის დამდეგს, მამასახლისობის მოტრფიალე ბევრი გახლდათ, მაგრამ მთელი საზოგადოება ორ დასად გაიყო: მაედანს და სამიქაოს თავისი კაცი უნდოდათ მამასახლისად, გეზათს, ქოლოუბანს და გუგუნაყათს თავისი; სოფ. გულიხეთი-კი შუაში იყო, ხან იქით გადიწევდა და ხან აქეთ. სამი ყრილობა დაიშალა უშედეგოთ. შემდეგ სამიქაოს საზოგადოების კანცელარიაში მოვიდნენ ქუთაისის მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი და ბოქაული. ბოლოს, როგორც იქნა, დამტკიცდა მამასახლისად გ. ჯოჯუა.

ბეთლეველი

ძორეთი (იმერეთი). აქეთ მოსავალს არა უშავს რა, წვიმა თავ-თავის დროზე ჰქონდა, ვენახი, რაც გაუმაგრდა ფილოქსერას, კარგად არის და ზომიერადაც ასხია. სიმინდის ფასმა ძლიერ აიწია: ეხლა აქეთ იყიდება კოდი სიმინდი (96 გირვანქა) სამ მანეთად; სიმინდის ფასს ასე კაი ხანია არ აუწევია, ჭიათურაში მარგანეცის სამუშაოების იმედი გვქონდა, მაგრამ მუშის ქირამ ძლიერ დაიწია. შარშან შემოდგომაზე გლეხები ეზიდებოდნენ საჩხერეში სიმინდს და ჰყიდდნენ კოდს თითო მანეთად, ამა წლის დასაწყისში—ექვს აბაზად; ეხლა თვითონ ყიდულობენ კოდს სამ მანეთად. ომის ამბებმა ხალხს ძლიერ შეაყვარა გაზეთი. ხშირად კითხულობენ—„რა ანბებია ომისო, რას სწერენ გაზეთებშიო?“ სწუხან, რომ თვითონ არ იციან კითხვა და სხვის სამადლოდ უხდებათ ამბების გაგება. უექიმობა ძლიერ აწუხებს მახლობელ სოფლელებს. ჭიათურიდან ექიმის მოყვანა სამძიმოა აქაურებისთვის, ერთი იმიტომ, რომ შორს არის (15 ვერსია), გზებიც ცუდია, მეტადრე შემოდგომასა და ზამთარში, და მეორე—მრავალ საქმეებისა გამო ექიმი ვერ იცლის. ქურდ-მძარცველების თარეშს ანგარიში არა აქვს. აგვისტოს შუა რიცხვებში ორი გლეხი გაქურდეს სოფ. მერჯევში, წაიღეს სხვა-და-სხვა ნივთები და ფულად 250 მ. სოფ. გორისაში შეყლაშვილის დუქანს გამოუნგრიეს კედელი და წაიღეს 200 მანეთის საფასო წვრილმანი. ხარების და ცხენების ქურდობას, ნამუშევრის აჩეხას ანგარიში არა აქვს.

გრ. ჭიჭინაძე

ყვირილა. 19 აგვისტოს მოხდა კრება ბანკის საქმეების შესახებ. საზოგადოებას ორი დღით ადრე აუწყეს წერილობით, რომ თეატრის დარბაზში კრებაა დანიშნულიო, მაგრამ დანიშნულ დღეს და დანიშნულ ალაგას კაცის ჭაჭანებაც არ იყო. მერე, როგორც იყო, ბევრის ხვეწნის შემდეგ, როდესაც გამგეობამ სათითაოდ ჩამოუარა ყვირილაში მყოფ წევრებს, იკადრეს და მობრძანდნენ კრებაზე. გამგეობამ მოახსენა საზოგადოებას, რომ წინანდელ

მომხრეებს. ამ ბრძოლაში შეიძლება ისეთს მდგომარეობაში ჩავარდე, რომლისაგან ვერაფერი ვერ მიხსნის. ჩემს ქონებას, ჩემს თავისუფლებას, თვით ჩემს სიცოცხლეს მოელის განსაცდელი. შეგწევთ ძალა, აიტანოთ უბედურების დროს ყველაფერი: გადევნა, სატუსაღო, გადასახლება და თვით სიკვდილი? და, რაც ყველაზე უარესია, ტანჯული სიცოცხლე? ლასსალი იმაზე ეუბნება სოლნცევისას, რომ შეიძლება ჩემი ცხოვრება ბედნიერად მოეწყოსო, მაგრამ მაშინათვე დაუმატებს, განა შეიძლება პირად ბედნიერებაზე ლაპარაკი, როდესაც საქმე კაცობრიობის ბედნიერებას შეეხებაო?

„სოლნცევის ქალი თუმცა დიდის პატივისცემით ეპყრობოდა ლასსალს, მაგრამ არ გრძნობდა მისდამი სიყვარულს და უარი უთხრა ცოლობაზე. ლასსალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. საშინლად დაიტანჯა, მაგრამ მალე შეურიგდა თავის ბედს, მით უმეტეს რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მოუწოდებდა საბრძოლველად.

პრუსიის მთავრობა ლიბერალებს გამოუთამაშა და გაუცინა; მოიწვია ლიბერალური სამინისტრო. ამ გარემოებამ თვალები დაუბრმავა შორს არ გამჭვრეტელ ლიბერალებს, რომლების დასაკმაყოფილებლად საკმარისი იყო მცირედი შეღავათი მთავრობისაგან. მაგრამ მალე გამოაშკარავდა, რომ აბსოლიუტური მონარქია და ლიბერალური ბურჟუაზია დიდხანს ვერ მოთავსდებოდნენ ერთად. მთავრობა დაუბრუნდა ძველს გზას და დაუწყო შევიწროვება დეპუტატთა პალატას. ლიბერალებს უნდოდათ წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ვერ ბედავდნენ. უფრო მორიგებით და მშვიდობიანად ცდილობდნენ საქმის გათავებას. ლასსალს არაფერი საერთო არა ჰქონდა ასეთს პარტიასთან და სასტიკი ბრძოლა დაუწყო ლიბერალებს. ჯერ პამფლეტი დაბეჭდა კრიტიკოსს შმიდტის წინააღმდეგ და მიწასთან გაასწორა საზოგადოდ ლიბერალების სიბრმავე და ლაჩრობა. მერე, როდესაც ზოგიერთმა ლიბერალებმა მიიწვიეს არჩევნების დროს სიტყვის წარმოსათქმელად ხალხის წინაშე, ლასსალმა ილაპარაკა კონსტიტუციის შესახებ და აქაც დაახასიათა ლიბერალების ტაქტიკის უნიადაგობა და უაზრობა. სხვა-და-სხვა წრეების რეალური, ფაქტიური ურთიერთობა, ამბობდა ლასსალი, წარმოადგენს ნამდვილს კონსტიტუციას. ამ კონსტიტუციიდან წარმოსდგება დაწერილი კონსტიტუცია. ნამდვილი კონსტიტუციის შეცვლა დამოკიდებულია ხალხის ცხოვრების ეკონომიურ ფაქტორების ევოლიუციაზე. ამიტომ როგორც კი შეიცვლება ეს ფაქტორები, უნდა შეიცვალოს საზოგადოების სხვა-და-სხვა წრეთა ურთიერთობა და როგორც კი შეიცვლება ეს ურთიერთობა, შეიცვლება დაწერილი კონსტიტუციაც. ისე მარტო დაწერილს კონსტიტუციის შეცვლას არავითარი აზრი არა აქვს. ამიტომ დამარცხდა 1848 წლის რევოლიუცია, რომელმაც არ შესცვალა ნამდვილი კონსტიტუცია. თავისი სიტყვა ორატორმა იმით გაათავა, რომ საკონსტიტუციო კითხვების გადაწყვეტა დამოკიდებულია ძალაზეო.—ახალ არჩევნების დროს თუმცა ლიბერალებმა გაიმარჯვეს და პალატამ წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას, მაგრამ უკანასკნელი არაფერს მოერიდა, და სრულიად დაითხოვა დეპუტატთა პალატა. ამ დროს ეკუთვნის ლასსალის მეორე სიტყვა („ახლა რადა?“), რომელიც წარმოსთქვა მან ლიბერალების წინააღმდეგ. მათ წინააღმდეგ იყო მიმართული მისი წერილი „ძალა და უფლება“-ც. მე რომ მეკითხებოდეს, სწერს ლასსალი, უთუოდ გავაბატონებდი უფლებას და არა ძალასაო; როდესაც კონსტიტუციის შესახებ ვლაპარაკობ, სახეში მაქვს არა ის, რაც უნდა იყოს, არამედ ის, რაც არის ნამდვილადაო.

ასე იბრძოდა ლასსალი ლიბერალების წინააღმდეგ, რომლებისაგან არ გამოელოდა არაფერს. გონება უფრო და უფრო იზიდავდა სხვა ელემენტისაკენ. ამ ძალას უახლოვდებოდა უფრო და უფრო და აქ ჰხედავდა თავის პრინციპების განხორციელებას.

მაგრამ ვიდრე ამ საგანს შევუდგებოდეთ, საჭიროა თვალი გადავავლოთ მაშინდელ გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობას. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გერმანია ძლიერ განუვითარებელი იყო ეკონომიურად. მცხოვრებნი უმთავრესად მიწათ-მოქმედებას მისდევდნენ. ბატონ-ყმობა ჯერ გადავარდნილი არ იყო, გლეხები უზომოდ შევიწროვებულნი იყვნენ სხვა-და-სხვა გადასახადებით. მრეწველობა არ იყო განვითარებული და სადაც არსებობდა, შებორკილი იყო მთავრობის მიერ. ასეთსავე მდგომარეობაში იყო ვაჭრობაც. ჩაკლული იყო ყოველივე თვითმოქმედება, ინიციატივა, თავისუფლება, საზოგადოებრივი ცხოვრება. ნაპოლეონ პირველის შემოსევამ გამოაფხიზლა გერმანიის ხელმწიფეები, დაინახეს, რომ ძველი რეჟიმი უვარგისი იყო, მოუწოდეს საზოგადოებას სამშობლოს განსათავისუფლებლად და აღუთქვეს რეფორმები. მაგრამ როგორც-კი საბოლოოდ დამარცხდა ნაპოლეონი, გერმანიაში ყველგან ისევ ძველი წესი დამყარდა და კიდევ უარესიც. მეტერნიხის პოლიტიკამ მძიმე უღელი დაადგა ყველას კისერზე, ყველა შებორკა, მოსპო ყოველივე სიცოცხლის ნასახი, გაბატონდა ყველგან პოლიცია და მთელი გერმანია აავსო ჯაშუშებით. ბურჟუაზიის ოცნება მხოლოდ წარსულს იგონებდა. მწერლობა და ხელოვნება განშორდა ცხოვრებას. ფილოსოფია შეუდგა არსებულის წესწყობილების გამართლებას. გერმანიას უნდა გაექცე, როგორც შავ-ჭირსო, სწერდა 1825 წელს ბიორნე, რადგან აქ უნდა იყო ან დევნილი, ან მდევნელი; ან ცხვარი, ან მგელიო. 1830 წ. საფრანგეთის და ბელგიის რევოლიუციამ ცოტათი შეაშფოთა გერმანიაში. ამოძრავდა ბურჟუაზია, ზოგიერთმა სახელმწიფოებმა მოახდინეს რეფორმები, სამხრეთ გერმანიაში მწერლობამ გაშალა ფრთები, გაჩნდა „ახალგაზრდა გერმანია“, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და კვლავ დადგა რეაქცია. დადგა რეაქცია, მხოლოდ მას არ შეეძლო ყველაფერი შეუცვლელად აღედგინა. ბატონ-ყმობა მოისპო, მრეწველობასა და ვაჭრობას მიეცა ცოტაოდენი თავისუფლება, გაიმართა რკინის გზები და ქვეყანა განვითარდა ეკონომიურად. გაძლიერდა ბურჟუაზია; ბურჟუაზიასთან ერთად გაჩნდა პროლეტარიატიც. ამ ორს უკმაყოფილო ელემენტს მიემხრენ ხელოსნებიც. მოხდა 1848 წ. რევოლიუცია. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებასთანავე მას თვალ წინ წარმოუდგა საშინელი ლანდი პროლეტარიატისა. ბურჟუაზია შეშინდა, გაუბედაობა დაეტყო, რის შედეგი იყო ახალი რეაქცია. უკანასკნელი ეხლაც ვერ ჰბედავდა სავსებით დაბრუნებოდა ძველს წესს. ყველგან შემოღებულ იქმნა საპარლამენტო რეჟიმი, თუმცა ძლიერ შეზღუდული. ეკონომიური განვითარება წინ მიდიოდა მთავრობის შეუმჩნევლად, ბურჟუაზიამ მეტი ძალა მოიპოვა, და მას უფრო გაეღვიძა მადა პოლიტიკურის უფლებათა მოპოვებისა. ბურჟუაზიას უნდოდა მთავრობასთან ბრძოლა, ამ ბრძოლისათვის საჭირო იყო ხალხის დახმარება. როგორ უნდა მიემხრო ბურჟუაზიას პროლეტარიატი, რომელიც დაჩაგრული იყო მთავრობისაგანაც და ბურჟუაზიისაგანაც? ბურჟუაზიამ ბევრის ფიქრის შემდეგ ასეთი ახალი ამბავი გამოაცხადა: ბურჟუაზიის და მუშების ინტერესებს შორის სრული ერთობა და თანხმობაა. მუშებისათვის არცაა საჭირო საარჩევნო უფლება, რადგან ბურჟუაზია იზრუნებს მათთვის. მუშებმა სულ დაანებონ პოლიტიკას თავი, მათ მხოლოდ დააარსონ სხვა-და-სხვა კასები და ფული შეინახონ შავის დღისთვისო...

ასეთის ტკბილის სიტყვებით ანუგეშებდა ბურჟუაზია პროლეტარიატს, რომელიც უკვე იწყებდა გაღვიძებას. ზოგიერთებს სჯეროდათ ბურჟუაზიის დაპირება. მაგრამ დიდი უმრავლესობა უკმაყოფილო იყო. ამ დროს დაუახლოვდა მუშებს ლასსალი.

კალამი.

(შემდეგი იქნება)

კრებაზე დავადგინეთ, 15 მარიამობისთვის ხვედრის ფული, შემოეტანა ყველა წევრს მაგრამ უმრავლესობას წევრად მისაღები თხოვნა აქვს შემოტანილი და ფულზე კი თავს არ იწუხებს, არ შემოაქვს. ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ წევრებს რომ ფული შემოვატანინოთ, იმისთანა საშუალება ვერა გამოვნახეთ—რა, და, რადგან 24 სექტემბერს გადის სამინისტროს მიერ დანიშნული ვადა, რომლისთვისაც ბანკმა უსათუოდ უნდა დაიწყოს მოქმედება, თუ არა გაუქმდება, ამიტომ მოგიწვიეთ და გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ საქმის კეთილად დაბოლოებაშიო. ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იდავეს და ბოლოს დაადგინეს ამნაირ გადაწყვეტილებას: 20 სექტემბრამდე გამგეობა წერილობით ორჯერ მიმართავს საზოგადოებას, გაახსენებს ფულის შემოტანას და, თუ ვერაფერს გახდნენ ამით, მაშინ გამგეობა პირადად ჩამოუვლის ყველა წევრს და გაახსენებს თავის ვალს. ამითაც თუ არაფერი გაეწყო, ბანკი აღარ გაიხსნება.

სპირიდონ გელაშვილი

ღამის დეპეშები

31 აგვისტო

ტოკიო, 29 აგვისტო („რეიტ. სააგ."). ალყად შემორტყმულ არმიის უნაყოფო მოქმედებანი პორტ-არტურის იერიშების დროს და პორტ-არტურის ალყის შემორტყმის შესახებ ყველა ამბების გაჩერება უკმაყოფილებას იწვევს იაპონიაში. ავადმყოფნი და დაჭრილნი, რომელნიც ნოგის არმიიდან იაპონიაში გაჰგზავნეს, ამბობენ იაპონიის არმია დიდ გაჭირვებას ითმენსო. ბევრი სალდათი დაბრმავდა იმის გამო, რომ კირს ესროდნენ რუსების სანგრებიდან ხელ-ჩართულ ბრძოლის დროს. რადგან რუსები განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენენ იაპონელთ, ამ უკანასკნელთ შეძლება არა აქვთ თავისი მკვდრები დამარხონ. მრავალი გვამი რჩება ბრძოლის ველზე და შეუძლია სნეულება გამოიწვიოს. იაპონელებს საკმაოდ აქვთ სურსათი, მაგრამ ბევრი ხდება ავად წმინდა წყლის უქონლობის გამო.

ტოკიო, 30 აგვისტო („რეიტ. სააგ."). დღეს მოვიდა დაწვრილებითი ამბები 15—23 აგვისტომდის კუროკის ოპერაციების შესახებ. ამ დროს განმავლობაში ჯარები განუწყვეტლივ იბრძოდნენ და დიდ გაჭირვებას ითმენდნენ: 24 საათის განმავლობაში პური არ უჭამიათ და წყალიც არ ჰქონიათ, რადგან რუსებმა 20 აგვისტოს ყველა გზები მოუჭრეს. ჯარებს მხოლოდ ცოტა ბრინჯი ჰქონდათ. 17 აგვისტოს ღამე ხსიჩიაკუსთან მომხდარ ბრძოლის დროს რუსები სარგებლობდნენ პროჟექტორებით ადგილების გასანათებლად და მძლავრად ესროდნენ ყუმბარებს იაპონელთა პოზიციებს. 20 აგვისტოს საღამოს იაპონელებმა უკუაგდეს რუსების იერიში და დაიჭირეს გორაკები იანტაის მღვიმე-მაღაროებთან იმ დროს, როცა ტაიახეს დასავლეთით მიდიოდნენ. ნაშუადღევს იაპონელებმა 16 ზარბაზნით იერიში მიიტანეს რუსებზე. როცა იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ, ბენსიხუსთან მყოფი რაზმი პენტაიძიში გაჰგზავნეს, რაზმი იქ დასტოვეს და უფრო შორს დასავლეთისკენ გაემართნენ. 22 აგვისტოს რაზმმა დაიჭირა გუმენჩეშაუ. ცენტრმა დაიჭირა შუადღისას სიმაღლეები ხეილიცაის დასავლეთით. აქ იაპონელებს მძლავრად უშენდნენ ყუმბარებს რუსები და დიდი ზარალი მიაყენეს, მაგრამ იაპონელებმა პოზიცია შეინარჩუნეს. იაპონელთა არტილერია, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, დიდად დაზარალდა. 20 აგვისტოს რუსების სამმა ბრიგადამ იერიში მიიტანა მარჯვენა ფრთესა და ცენტრზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ დროზე მოსულ მემარცხენე რაზმის მეოხებით.

ტოკიო, 30 აგვისტო (ბერლინში მიღებული ცნობა). იაპონიაში თავს იჩენს ხალხში მტრული განწყობილება მთავრობის მიმართ, ამის გამო მთავრობა არ აცხადებს პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობებს. ყოველ დღე ახალ ჯარს ჰგზავნიან იაპონიიდან, უმთავრესად ჩრდილოეთის კუნძულ იეზოდან, რადგან იქაური მცხოვრებლები უფრო გამოსადეგარნი არიან მომავალ ძნელ ზამთრის ბრძოლისათვის.

ტოკიო, 30 აგვისტო (ბერლინში მიღებული ცნობა). იაპონიის არმია დროებით ისვენებს, რათა მოემზადოს კუროპატკინის არმიაზე საბოლოო იერიშისათვის. მარშალ ოიამას იმედი აქვს, რომ შეებრძოლება რუსებს, სანამ ისინი ხარბინს მივიდოდნენ. დიდი მაშველი ჯარი მიდის ხიროშიმიდან ნიუჩუანს, საიდანაც ლიაოიანში უნდა წავიდეს. ამ ჟამად ოიამა ლიაოიანშია ვაკე გორებზე, მუკდენის აღმოსავლეთით, იაპონელთა სხვა ჯარები კი მუკდენის სამხრეთით დგანან. კუროპატკინი ტელინში სიმაგრეების დათვალიერების შემდეგ ისე მუკდენს დაბრუნდა.

ტიანძინი, 29 აგვისტო („რეიტ. სააგ."). ხმებია, გენერალმა ლინევიჩმა 50 ათასი სალდათით კორეის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი დაიჭირა და კუროკის არმიისაკენ მიმავალი გზა მოსჭრაო.

სან-სებასტიანი, 30 აგვისტო (ბერლინში მიღებული). ესპანიის მთავრობამ, ინგლისის დაჟინებითი თხოვნის გამო, გამოაცხადა, რომ რუსეთის ბალტიის ესკადრას კორუნში 24 საათზე მეტ გაჩერების ნებას არ მისცემს.

გოშბანძი, 30 აგვისტო („რეიტ. სააგ."). იაპონელებს ძალიან სწყინთ, რომ ლიაოიანში სრულიად ვერ გაანადგურეს რუსების არმია და თავისი გეგმა ვერ აასრულეს. ეხლა მაშველ ჯარს და სურსათს ელიან. ოიამამ ჯარის მთავარ-სადგური ლიაოიანში დააწესა, რომელიც იაპონიის ქალაქად ხდება. ცხადია, იაპონელებს განზრახვა აქვთ მიდიონ, ხოლო თუ შესაძლებელი იქნა, გამოიწვიონ დიდი ბრძოლა რუსეთის ნიადაგზე, რადგან რუსების მაშველ ჯარის მოსვლისათვის დროა საჭირო. ამიტომ ბრძოლა ალბად მუკდენის ჩრდილოეთით მოხდება. იაპონელები ფიქრობენ, რომ რუსები ტყვიებს „დუმ-დუმ"-ს ხმარობდნენ. ლიაოიანში იპოვეს ამგვარი რამდენიმე ტყვია, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არ არის. რკინის გზაზე რუსებმა განცხადება გამოაკრეს, რომლით ჩინელებს უკრძალავენ გზის გაფუჭებას. გზის გაფუჭებისათვის მომავალში სასჯელს ემუქრებიან.

30 აგვისტო.

პეტერბურგი, 30 აგვისტო. პოლკის დღესასწაულების გამო გაიმართა პარადი უმაღლესის თანდასწრებით მარსის მოედანზე ლეიბ-გვარდიის პავლეს პოლკისა და 198 სარეზერვო ქვეითა პოლკის ბატალიონისა.

ვენა. მოვიდა ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი, რომელსაც მეფე განსაკუთრებულ აუდიენციაზე მიიღებს.

ბრისბენი (ავსტრალია), („რეიტ. სააგ"). გერმანიის ახალ გვინეიდან მიღებულ ცნობით, ადგილობრივი მკვიდრნი თავს დაესხნენ კათოლიკეთა მისსიას. მოკლულია 10 ევროპიელი, მათ შორის 5 და მოწყალებისა და 2 მღვდელი. შეიპყრეს 36 მკვიდრი. მათგან 16 კაცი სიკვდილით დასაჯეს. იმათ განზრახვა ჰქონდათ ამოეწყვიტათ ყველა ევროპიელი, მაგრამ ამის ასრულება ვერ მოახერხეს.

ნიუ-იორკი („რეიტ. სააგ"). გამოქვეყნებულია პრეზიდენტ რუზველტის წერილი, რომელშიაც იგი თანხმობას აცხადებს პრეზიდენტის ადგილზე კანდიდატობის მიღებაზე.

ვიკტორია (კანადა), („რეიტ. სააგ"). კანადის რკინის გზის მატარებელს ვანკუვერთან 6 შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა. იძულებულნი იყვნენ ერთი ვაგონი მოეხსნათ. ყაჩაღებმა ხელთ ჩაიგდეს 7 ათასი დოლარი. ყაჩაღებს პოლიციის დიდი რაზმი გამოუდგა.

მოსკოვი. აკურთხეს ახალი საუნივერსიტეტო შენობა იურიდიულისა და საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტების აუდიტორიებით.—ბირჟის საზოგადოებამ ორი ახალი სასწავლებელი დაარსა: ქალთა საკომერციო სასწავლებელი იმპერატორის ნიკოლოზ მე-II-ს სახელობაზე და ვაჟთა სავაჭრო სკოლა იმპერატორის ალექსანდრე მე-III-ის სახელობაზე.

იალტა. დიდის ამბით აკურთხეს და გახსნეს იმპერატორის ალექსანდრე მე-II-ს ძეგლი.

ადესსა. მოვიდა საბერძნეთის პრინცი ქრისტეფორე და დილას პირეიში წავა.

სტამბოლი (კორ. ბიურო). მთავარ-ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ და სამოქალაქო აგენტებმა გადასდვეს მონასტირიდან უსკიუბს გამგზავრება 2 ენკენისთვემდის.

ბერლინი. გაიხსნა მეხუთე საერთაშორისო სადერმატოლოგიო კონგრესი.

სტამბოლი („გოლოვ. სააგ."). ხელი მოაწერეს კარის სამინისტროს და ანატოლიის რკინის გზების მთავარ-დირექტორის ხელ-შეკრულობას, რომლის თანახმად ანატოლიის რკინის გზას დაჰპირდნენ უფლების მიცემას, თავის ხარჯით ნავთაანი ადგილები მოსინჯოს და ბაღდადის ვილაიეტებში. ანატოლიის გზას ეძლევა 40 წლის ვადით უფლება აწარმოოს აღმოჩენილი ნავთის შადრევნება. ფრანგი, ინგლისელი და ჰოლანდიელი მრეწველნი 2 წლის განმავლობაში სცდილობდნენ მიეღოთ ეს კონცესსია კაბინეტისაგან.

ჰელსინგფორსი. ალექსანდრეს სახელობის ჰელსინგფორსის ვაჟთა გიმნაზიაში დიდის ამბით აქტი გადაიხადეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს.-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისას
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. (30—3512—13)

„გუტენბერგი"-ს
წიგნის მაღაზიაში (სასახლ. და შტაბის ქუჩები)
იყიდება სახელმძღვანელოები:
საბავშო წიგნები, კარტები და სხვა წიგნები. ვინც ბევრს იყიდის, იაფად დაეთმობა. (2—2)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (ჭ.—176—85)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სამუსიკო სასწავლებელი
რუსეთის სამუსიკო საიმპერატორო საზოგადოების
ტფილისის განყოფილებისა.

25 აგვისტოდან ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, იღებენ მასწავლეთ, დღის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე, სასწავლებლის კანტორაში, **გრიბოედოვის ქუჩა,** საკუთარი სახლი, № 10.

◆ **სწავლა იწყება 1-ლ სექტემბრიდან** ◆

სკრიპკის კლასში მისაღები ეგზამენი დანიშნულია 1-ლ სექტემბერს, დილის 11 საათზე და საღამოს 5-ზე. (1—294—1)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს **1860** წელს

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვას
„С.-Петербургъ"
წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).
ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი"
მოსკოვს, კიევს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკის, ტაშკენტში. და ტფილისს
(60—21

Дозв. цензурою 31 августа 1904 г. ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა." Электроп. „Груз. Изд. Т—ва."